

ქვეყნის გაერთიანება

იუმორისტ.
ქუჩნალი

№ 42

კუპრინის ლექსის

F644



— ხალხი! ჯანაბას ხალხი... ხალხი სურვილი...



ბი ასე აწვითებს ყველას: ბავშვებს, ქვეყნის, რო-
ცა შიან

ბავშვებისათვის

რედაქციისგან

„ქვეყნის მათხანი“ მომავალ № 43
დაიბეჭდება დასურათებული ზღაპარი
ლ. ვაჩიხა

ვიკრები

რედაქცია აცხადებს, რომ ზღაპარი
ნათარგმნია და ამიტომ თავს ნურა-
ვინ გამოიდებს. ყველას გულდამწეი-
დებით შეუძლია მისი წაკითხვა.

სასურსათო საკითხი

ვინ მოიფიქრებდა, თუ უღიდესი ეკონომიური
და პოლიტიკური კითხვები, საერთაშორისო და
ეროვნული პრობლემები ისეთ მდებრიო საკითხთ
დახურდადებოდნენ, როგორც არის სურსათ-სანო-
ვარის საკითხი. ვილას ახსოვს საერთაშორისო ომი,
მისი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები; ვილას
ინტერესებს სრუტეები და მათი ნეიტრალიზაცია,
დაპლომატების ოინაზომბა და სტრატეგიების საქმი-
ანობა; ვილას სცალია დღეს დასტკებს ინტერნაცი-
ონალის დასამარებით და ნაციონალიზმის გამარჯ-
ვებით; — ოდეს მთელი განათლებული და გაუნათ-
ლებელი კაცობრიობის გონება, აზრი და გრძნობა
მოუცავს ერთათ-ერთ საკითხს, რომელიც, მიუხე-
დავთ ამისა, ამოიდ ელის თავის გადაწყვეტას: ეს
გახლავთ სასურსათო საკითხი.

ჩვენც იმდენათ საყურადღებოთ მიგვიჩნია იგი,
რომ საჭიროთ ვთვლით გამოვთქვათ ჩვენი აზრი.
საკვირველი ის კი არ არის, რომ კუქის საკით-

საკვირველი და გაუგებარი ის არის,
რომ რაც უფრო მზნეთ, დაუღალავათ, დაინებით
და თავგამოდებით შესდგომიან ამ კითხვას, მით
უფრო მწვევე ხასიათს ლებულობს იგი, იწეწება,
იხლართება და ბურუსით იფარება; რაც უფრო
სადღეისოთ დგება ეს კითხვა, მით უფრო სამერმ-
სოდ იღება იგი; რაც უფრო მეტი მომხრე უჩდება
მას მით უფრო უნიადავო, უტოპიური ხდება.

მწვევე საკითხია, ძნელი საკითხია—ვინ ამბობს
წინააღმდეგს! მაგრამ ისიც ექვს გარეშეა, რომ რაც
უფრო ძნელი საკითხი, მით უფრო ადვილია მისი
გადაწყვეტა. აღექვსანდრე მაცვლონელს გორდის
კვანძი უნდა გაეხსნა; ალბათ ძალიან დახლართული
იყო, რომ მთელი ქვეყანა მისდგომოდა და ვერა
ხსნიდა. მაცვლონელმა დაქრა ხმალი და კვანძი გა-
დასქრა. რა მოხდა? მან უეჭველათ გახსნა კვანძი,
თუმცა, რასაკვირველია, არა ისე, როგორც მთელი
ქვეყანა ფიქრობდა მეორე მაგალითიც ყველას მო-
გებენება: კვერცი ვერავინ გააჩერა მიუყუდებლათ.
ქრისტეფორე კოლუმბმა ბოლო დაუჩქედა და კვერ-
ცი გაჩერდა. ამანაც გადასქრა კითხვა, თუმცა
არა ისე, როგორც მთელი ქვეყანა ფიქრობდა.

კოლუმბი დიდი კაცი იყო, მან ამერიკა აღ-
მოაჩინა. მაგრამ მის აღმოჩენილ ქვეყანაში დღეს
მილიონობით მიდის ხალხი და გზა არავის ეშლებია.
ვითომ რა იქნება, რომ ამ საკითხშიაც კოლუმბს
მივბძობოთ და სდაც რთული აზროვნება ვერას
აწყობს, სადათ და მოკლეთ დაეჩქქოთ წყეული
კითხვა.

ან კი რა არის აქ თავ-სამტრევეი? არ არის საჭირო
საქონელი? მოვიტანთ. ძვირია და ხელმიუწდომელი?
გავაიფოთ. გადამალულია? გავჩხრიკოთ და აღმო-
ვაჩინოთ. არ ელოვიან? სულაც ჩამოვართავთ.

ყველა ამს ერთ დემოგოგიურ მოსახრებასაც
დაუმატებთ. მარტო სირცხელია, სხვა არა იყოსრა,
რომ მეოცე საუკუნეში ხალხი შიმშილით წყდებო-
დეს მხოლოთ იმიტომ, რომ კითხვა ვერ მოუწეს-
რიგებია, სურსათი ვერ გაუნაწილენია.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ჩვენსას არავინ დაი-
ჯერებს,



კიდევ მრავალი ცირკულიარი გამოქვეყნდება, თათბირები და სიგზდები ვაიმართება, რეზოლუციები შემუშავდება, მეთაურები დაიწერება,— ყველაფერი ეს ჩვენ ზომაზე მეტი გეხებოდა,

ფოცხვერი.

და მარგალიტი სიტყვება ჩვეულ სიუხვით ასავა^{***)} შეიქცევეს

ყოლოდ სამღვდლო ლეონის^{***} სიტყვებით, ავტოკეფალიის აზრის ფართე საზოგადოებაში გატანა, მხოლოდ ნიჭიერი მგოსნების საქმეა და თუ მას დაუჯერეთ აი ასეთ მოხდენილ დასაწყისს, როგორც ზემო აღნიშნული კუბლეტია, გზა ეხშობა. მე დარწმუნებული ვარ ამ გარემოებას არ მიაქცევენ ყურადღებას ქართველი მორწმუნენი, როგორც არ მიაქცია ყურადღება უკვე მივიწყებულმა მგოსანმა ხევახტომ.

პ ა ტ ა რ ა ფ ე ლ ე ბ ო ნ ი

ავტოკეფალიის აზრის გასატანად ფართო საზოგადოებაში აკაცისა ვთხოვე მოხდენილი ლექსის, ან სახალხო პოემის დაწერა... ჩსიკვდილმა აღარ აცალა მას კეთილი განზრახვის შესრულება.

იქნება ამ აზრის განხორციელება თანამედროვე რომელიმე ნიჭიერი მგოსნის მიერ არც ახლა იყოს მეტი და უმნიშვნელოა.

(სახ. ფურც. 684).

გულმოდგინეთ წაითხული იქმნა

მგოსნებიც შეიარაღდნენ. „ნიჭიერი“ რას მიქცია, როცა სამშობლო განსაცდელშია? საზოგადო ასპარეზზე ყველას თავისუფალი გზა უნდა მიეცეს.

აი, მაგალითად, პატივცემული გიორგი გვაზავა რამდენი ხანია არსად სჩანდა პოეზიის ცათა კაბადონზე, ახლა კი, როცა ქართული ეკლესიის საკითხი ამას უცილობლათ მოითხოვს, მგოსანმა მოიმარჯვა კლაში და დასწერა:

„საშვიდიშვილს ზოემის დაჟდა დღეს წერად გვაზავა, საერო საუკუნისთი მან მოხდუნადად აზავა^{*)} ინტერესები ორ ერთა მან ერთმანეთის აზავა^{**)}“

მგოსანი ქალი ნ. არაბულისა კეთილ მორწმუნეობით ცნობილია, და თავის უუფლოვ ლექსთა ფუძეთ მხოლოდ ეკლესია აქვს დადებული. ამიტომ არც ვასაკერია, თუ დღეს ავტოკეფალიის საკითხმა კვალად დაუბრუნა იგი მივიწყებულ სფეროს პოეზიას.

„სად ამდენი ცხესე-კოშკი და წანგრევი სუფარია, იქ ქართული წირვა-ლოცვა ვეგვი აღარსად არია. ჩუენი ეკლესიის საქმე დელა-ღეთისის აპარია, რას გვერწმან ნეტავ ერთი, ეს ხაღხი რამ კადარია.“

და განა მარტო ქ. ნ. არაბულისა გამოცხადებულია კეთილ სურ-

*) აზავა—შეუზავა. შეუფერა.

**) აზავა—ამ წარმოსდგება სიტყვა ზავისაჲ, ე. ი. მორაივა.

***) აზავა—ამ შემთხვევაში წარმოსდგება დაზავებისაგან, ე. ი. უზავად დაღრტევისაგან.

ილს?! ბევრს მკვდარიც ეგონა მგოსანი ნიკო ბრე-
ქიაშვილი, მაგრამ არა... წაიკითხა თუ არა მცხო-
ვანმა მოწოდება, მყისვე აღფრთოვანდა და დასწერა:

არ მომეკვდარა,

არა, არა...

ჩემში ტრფობა

ეჭვსისის...

მიუყვარს, მიუყვარს, მიუყვარს იგი...

არ მომეკვდარა,

არა, არა...

ღმერთის რწმენა

და მესისა“...

შეიძლება ეგ ლექსი მცხოვანი მგოსნისა ში-
ნაარსით მიიხსნა და მიიხსნა დიდი რამ არ იყოს, მაგ-
რამ ყველა თქვენთაგანი დამერწმუნება და ამ სა-
კითხში თვით ყოველად სამღვდელო ლეონიდეს
შეუთანხმდება ბ-ნ მირონიანიშვილს, რომ სტრიქონე-
ბი ერთობ ორიგინალურათა დაწყობილი.

ერთმა რომლის ვინაობა, თანახმად
მისი სურვილისა, ჯერ ჯერობით საიდუმლოთ,
(ანუ მისივე ქართულით რომ ესთქვათ „ინკოკინ-
ტოთ“) უნდა დარჩეს, საკითხს პირდაპირ შეხედა
თვალეზში და ცოცხალი სურათი დაგვიხატა:

„ყველა თვეზე უკეთესი

კალმახი და კეფალა;

როგორც გადმოიტყეს ამ ლექსს უკვე ამღერებს
გიტარაზე მთელი დასავლეთ საქართველოს ყმაწვილ
ქალობა და ლირსიც არის თქვენ თავსა ვფიცავ.

მგოსანმა ვ. ღვანავიტიძემ ჩვეულებრივი თანაგ-
რძნობით შეხედა მღვდელმთავრის მოწოდებას და
უკვე ამოიწერა „ავტოკეფალია“-ს მისაგუბელი
რითმები. აი ისინი:

- აღია, წყაღია,
- ხაღია, ზაღია,
- ფხაღია, ხმაღია,
- გაღია, დაღია,
- ჭაღია, ძაღია,
- ჯაღია, თვაღია,

საღია, ხინთხაღია
ჩაღია, დარღია
ბნეღია და სხე.

ჯერ ძნელი სათქმელია თუ რას გამოიყვანს
ბქედან ჩვენი პატივეტემული მგოსანი, მაგრამ რომ
გამოიყვანს რაღაცას, „საკაცისებურს“ ეგ უეშველია
ერთი სიტყვით გამოძახილი ერთსულოვანია.
არ დარჩენილა მგოსანი ამ საქირ-ბორაოჲო საკით-
ხზე ლექსი არ შეეთხზას, მაგრამ ყველას ერთად
ხომ ვერ „გამოვიტანთ ფართე მასაში“.
დანარჩენზე შემდეგ.

მორიელი.

* * *

დიდი ხანია „საქვეყნო“
საქმეს არ ვემსახურები,
მოვწყდი საერთო მძივისგან,—
მარტო და ვეპატურები.

ვინ რა ქნა, მე რას ვიზამდი,
რომ მითხრან საყვედურები.
თუ დამიჯერებთ, თქვენს ნაკლებ
ჩემს თავს მეც არ ვემღურები.

ერთგვარათ ვვიჩინა სუყველას
ცხოვრების საფეხურები:
მე შენ ვარ, შენ—მე, ჩვენ იგი,—
ქვეყნის ერთგვარი მღვდურები.

ერთით ვარ გამონათიში,—
დავდივარ გულ-ამღვრეული.
ეკვით ვუკმერი ყოველსა,
აწმუცა, თუ აღრეული.

ვბოვე სიამე მითი, რომ
ვილტვი მე აგრე ეული,
მეგობრის ყოლას დიდი ხნით
მე უკვე გადაჩვეული.

არც გამაზინა ქონება
სათქმელი რამ ნივთეული.
(ნურც მქონდეს, არც შემრგებია
ნაბოძი კურცხალ ნთხეული).

ჩემი სიმღიდრე რაცაა,
ჯერ კიდევ არ დაღეული,
რა რიგ ასწიო ფასეგში
სავაჭროდ გამოთრეული,

ექვს აბაზს არ ასცილდება,
 ის ვერცხლის ფასად ქცეული.
 აქ ჩამოგითვლი, ქვემოთ,
 რაცაა, რა ერთეული:
 მაქვს ქული გახუნებული,
 მე თავზე გადახლეული,
 ტოტ წაღვეჯილი შარვალი,
 ორ ალაგს გამოხეული.

წელ ზევით,
 ბლუზას ქვეშ, რამ თეთრეული,
 (პერანგს ეტყვიან სახელად
 მდიდრები, ოჯახ ნგრეული).
 ტყავ გაფხეკილი მახარა,
 კისერზე ჩამობნეული,
 შემომპარკვია გარემო,—
 (ბოდოში თქვენთან) სხეული.
 გზივარ მარტოკა ოთახში,
 ვითარცა გამომწყვდეული, —
 გადაღვეჯილი მიღვია
 მაგიდა ფეხ-მონგრეული;
 მქალი ხმელი მაქვს საქმელად,
 კბილები გადაღვეული,
 თვალებს მიზნელებს ღამ-ღამე
 წინ გადაშლილი რვეული
 და გულს მიწყალავს სიბერე
 (როგორ ვთქვა, მარა) წყეული.

ა. ზლიკვაძე.

სარედაქციო კალათა

(ღრმა მეცნიერული წერილი)

ვაფრთხილებ მკითხველ საზოგადოებას და მით
 უმეტეს კრიტიკოსებს, რომ ეს ჩემი მეცნიერული
 წერილი არ არის დაწერილი რაიმე ჯილდოს მისა-
 ღებათ, არც სასტივენდო მიზნით. ვერც ვაგბე-
 დავდი რაიმეს დაწერას ზემოხსენებულ მიზნისათვის,
 რადგან კარგადა მაქვს გათვალისწინებული, რომ
 ჯილდოს მიღებისათვის უფრო „მარჯვენა“ ხასია-
 თის მანგებზეა საუბარი საჭირო, მე კი საუბელუ-
 რით (თუ უფრო საბედნიერით) არ მებერებება ის.

მე მინდა ამ წერილში ვაცნობო ყოველ პატიოსანს,
 თუ რა არის „სარედაქციო კალათა“ მისი ისტო-
 რია და მომავალი. ვინაიდან „სარედაქციო“ კალათა
 ქართველი მწერლად სთვლის თავის თავს, ამიტომ
 მე ვამჯობნე საყოველთაოდ გამოვაქვეყნო ჩემი
 მეცნიერული წერილი.
 მაშ დავიწყეთ.

I. კ ა ლ ა თ ა.

კალათს საერთოდ ჩვენში უწოდებენ წნელით
 ან კილით მოქსოვილ ქურჭელს. კალათა კალათა!
 მორჩა და გათავდა!.. მხოლოდ თუ რა არის „სა-
 რედაქციო კალათა“, ამაზე უფრო ვრცლათ არის
 საჭირო მსჯელობა.

„სარედაქციო კალათა“ წნელის მაგივრად რკი-
 ნისაგან არის გაკეთებული და მისი დამტკრევა ყოვე-
 ლად შეუძლებელია. იგი მოთავსებულია პერიო-
 დულ გამოცემის რედაქტორის მაგიდის მარცხენა
 გვერდით და რკინითვეა დამაგრებული იატაკზე.
 ვურჩევ ნურაინე მოინდომებს მის დამტკრევას და
 განადგურებას, რადგან კალათს შეუძლიან სრულიად
 უნებმლათ მოიგერიოს ყოველი გაცოფებული მგო-
 სანის იერიშო.

„სარედაქციო კალათა“ ძლიერ ცოდვილია.
 ამის შესახებ მქონდა ბაასი საქართველოში ჯოჯო-
 ხეთის მთავარ განყოფილების გამგე ბატონ ეშმაკ-
 თან და მან მითხრა, რომ ყოველი მიცვალებული
 „სარედაქციო კალათის“ სულს გზა ჯოჯოხეთისკენ
 აქვსო. სამოთხეში მისი შესვლა შეუძლებელია...

რამდენი მგოსანი აატრია კალათის უღობველ-
 მა ხასიათმა!.. ზოგიერთი კალათისანი თვისი ნაწარ-
 მოების ბედის გადაწვევებს (კალათისაკენ გამგზავ-
 რებას) რედაქტორს აბრალებს. სიცრუეა!.. კა-
 ლათის ისეთი მიშხიდველი ძალა აქვს, რომ რედაქ-
 ტორს არც კი აცლის ნაწარმოების გადაკითხვას.
 ნაწარმოები კალათის გინაოზის ვავლენით თვითონ
 მიიწვევს კალათისაკენ. კალათა დიდი გაუმძღარი
 რამ არის. მას შეუძლიან საათში ზუთასამდე დიდი
 ფორმატის ნაწარმოები შთანთქას. ვინ იცის რამ-
 დენი მგოსანი ნატრობს კალათის ვაუწყებებს, მაგ-
 რამ ეს შეუძლებელია. მთელი ქვეყანა დაემზობა
 და კალათა კი რედაქტორის მაგიდის გვერდით იქ-
 ნება ამოფარებული. იგი დაზღვეულია ყოველი ხი-

ფათისაგან. შინაურ ცხოვრებაში კალათა მეტად გულკეთილია და რბილი ხასიათის პატრონი, მხოლოდ როცა იგი თავის მოვალეობას ასრულებს, ფოლადია, ფოლადი! ბევრჯერ შევმდგარვარ და გამიგზავნია ნაწარმოები რედაქციაში, რადგან დარწმუნებული ვყოფილვარ, რომ კალათა ისეთივე ხასიათზე იქნებოდა სამსახურში, როგორც შინაურ ცხოვრებაში მინახავს, მაგრამ როდესაც ჩემი პოეტური ნაწარმოები მის კლანქებში დამინახავს, ნათლად დავრწმუნებულვარ ჩემი აზრის ამოებში.

II. კალათის ისტორია.

„სარედაქციო კალათს“ არ აქვს მაინცა და მაინც გძრელი ისტორია და არც არავის მიუტკევი მისთვის ძველ დროში ყურადღება, რადგან მაშინ მასში საქირება არ იყო. ჩვენში კალათები შემოიღეს მეცხრამეტე საუკუნეში, ესე იგი როცა იწყო მრავლება კალმოსნებმა. სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ნაწარმოები იმსხვერპლა ჩვენში კალათამ, არ არის სისწორით გარჩეული. ჩემი კოლეგა ისტორიკო-ფილოლოგიური კათედრის პროფესორი თბილისის უნივერსიტეტისა (რომლის დაარსებასაც ამ სამიოდე საუკუნეში უსათუოდ მოველით) ამბობს, რომ იგი არ უნდა აღვმატებოდეს თხუთმეტე მილიონს, მხოლოდ ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე მოვისმინე: მათი რიცხვი თორმეტი მილიონია. ჩემის გამოკვლევით ოც მილიონამდე უნდა იყოს. მე თუმცა მჯერა რომ ქართველ კულტურის მოყვარულ საზოგადოების ორატორები არ არიან ჩვეულნი სიტუის გარდმოცემას და საერთოდ ზემსსნებულ საზოგადოებას პირნათლათ მოჰყავს სისრულეში მიხანი*), მაგრამ ჩემს გამოკვლევას უფრო ფასა ვსდებ. სად მე, სპეციალისტი ამ გამოკვლევაში, და სად კულტურის მოყვარული საზოგადოება, რომელსაც ამ საქმის გარაა სხვა საქმეებიც ბევრი აქვს გასაკეთებელი.**)

საერთოდ „სარედაქციო კალათის“ ისტორია უფერულია, რადგან მასთან შიშით ვერა მგოსანს ვერ აუტეხია აჟალ-მაჟალი. ვიმეორებ იგი დაზღვეულია ყოყელი ხიფათისაგან, თუმცა გასაკვირა თუ

როგორ გადაურჩა იგი ჩვენ მამულიშვილების ხმალი ხანჯალს! აქ ჩვენ ისეთ ფსიქოლოგიურ ვანცდის ვხედავთ, რისიც აღსნა და განმარტება შეუძლებელია

III. კალათის მომავალი.

მომავალში „სარედაქციო კალათზე“ დიდს იმედებს ვამყარებ, რადგან დადგება დრო, რომ მისკენ გამიგზავრება არა მარტო „მგოსანთა“ ნამოქმედარი, არამედ ჩვენი ქართველი საზოგადოების ზოგიერთი „მარჯვენა“ მიმართულების მთელი ნაშრომი, დღათ დასაფასებელი იქნება მაშინ კალათა და იმედით მადლომელი საზოგადოება ღირსეულ პატივსაცემს მას... ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის, რომ კალათი მომავალში ვერ აუვა თავისი მოვალეობის ასრულებასაო, რადგან რაც დღე გადის უფრო და უფრო მატულობს ქართველ კალმოსანთა რიცხვით. მართლა რომ დასაფიქრებელია ეს გარემოება... მაგრამ ღმერთი მოწყალეა... ცხოვრება თვით გვიჩვენებს გზას, თუ როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში.

დაბოლოს მდლომას ვსწირავ ყველა იმ პირს, სახელდობრ:

პროფესორს თბილისის უნივერსიტეტისა არყოფილ არჩენების-მე როდის მოვესწრებით-უნივერსიტეტივილს, ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოებას, რომელნიც დამეხმარებ ამ წერილის შედგენაში. და ცენზორს, რომელიც იმედია არ განაწილებებს და ნებას დართავს ამ წერილის დაბეჭდვისას.

წერილის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდ შემდეგი წყაროებით:

- 1) კ. პ. კორკოტიშვილი—წნელი, ქილი და მათი მოვლა-მოწენება.
- 2) პროფ. თავცარიელი—მგოსანთა საშიშ სირბილეუ საქართველოში და ზომები, რომელნიც იყენენ მონდომებულნი ამ არა სისიამოვნო მოღონის თავიდან ასაცდენათ.
- 3) ინე. ს. ი. კრუხი—რკინა, ფოლადი და მათი ქიმიური შემადგენლობა.
- 4) ი. ვ. დოყლაპიევი—წყლის ნაყეა, როგორც საუკეთესო საქმიანობა ზოგიერთ ქართულ საზოგადოებისა.

*) წყლის ნაყეა.
**) წყლის ნაყეა.



კასტრა „მემოსის-ტყაოსანი“

ი უ მ ო რ ი ს ტ ი

ვითა კიტას საბჭოს ფული და გამოსტის იმის ბნევა;
ვით ეხლანდელ „პოდრაჩიკებს“ ტყავის ძრობა, კულის ქნევა,
მართ აგრეთვე იუმორისტთ ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა
და მწველ მწველი მათრახების აქეთ-იქით ვადაქნევა.

არ უღალატოს ეშმაკსა, არ გაიტეხოს პირობა;
რა ველარ მიხვდეს საცინელს, დაუწყოს აზრმა ძვირობა,
ეძიოს ჩვენს ცხოვრებაში, არა კმნას სიტყვათ მცირობა,
ხელ მარჯვედ სცემდეს მათრახსა, გამოიჩინოს გმირობა.

იუმორისტი არა ჰქვია თუ დაჯღაბნოს ერთი ორი,
თავი ყოლას ნუ ჰგონია: სერვანტეს და სეიფტის*) სწორი;
ან გალანძლოს გიმნაზიის, ან შავი ქვის ღირეჭტორი;
შემდეგ კი დააპანჩურონ ამოსვარონ როგორც ღორი.

მეორე რიცხვი ცოტაა იუმორ მოშაირეთა,
არ ძალუძთ სიტყვა ვასტყორცნონ მართ გულის ვასაგმირეთა;
მე ასეთები ვამზავსე ძალღების მესაყვირეთა,
ტყეში ჰკვიფან, არ ძალუძთ ხოცვა ნადირთა მცირეთა.

მესამე ძლიერ კარგია იუმორი საარშიყოთ,
ბანოვანთა კრებაში სადაც იყოთ, როგორც იყოთ.
ჩვენ მითაც გვიამების რაცა ოდენ იქიკვიკოთ;
იუმორისტი არ ჰქვია, ვინაც მალე გაირიყოთ.

იუმორისტს ასე უნდა: ბოროტებას უნდა ჰკენდეს,
კბენა უჩნდეს სამიჯნუროდ, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.
ჩვენ სატირალ ცხოვრებითა გვალხენდეს და გვაცინებდეს;
ხელს ევიროს მას მათრახი, ზაქი მქამლებს ცხვირში სცემდეს.

როკოკო.

*) ცნობილი იუმორისტებაა.



ყოველღიუკი დრავ

(ვუძღვნი ძალათ პოეტს)

„თუ რომ ოხერი აგიტყდეს მუხა,
მტკერის პირად მიიღი, გაიძრე ბლუხა;
სიცხე გეჩნება, ჩაყავი თავი,—
გაგიგრილდება ეგ სჭელი ტყავი“.
(უცნობი ავტორი)

ენა ჩლოუნგი,
კალამ წვერ წატებილი;
გულ დამუქნარი,
გრძნობა გადატებილი*)
ზის მგოსანი.

უსეცხლოთ ა—გზნებული,
შუბლ მხურვალე,
პირზე ალ მოდებული.
თავში უფერეს
აზრი ფრთა გაცვეთილი**),

ხელთ უპყრია
ჩანგი სიმ გაწყვეტილი...
წინ კი უზის
მუხა კოჭლი, ფეხუცა,
მუცელ-ყვაბო
ვით პატარა დერგუცა***)
ფრთა დაქრილი,
ტან დაბალი, ყვაბუხა,
ცხვირ წიკიურტა,
ყურ ნაკევეტი, თმა-გრუხა.
მის არ ძალუძს
არც ცათ ფრენა, არც ცურვა.
არც სირბილი,
არც სიცილი, არც ურვა...
...და იმისი
თითო ფეხის გადაღვმა
ბოლოვდება
ავორებით პირ-აღმა..

თუილისის კალთა მესამე გიმნაზიაში



— შენ, თეკლე, მრეცხაობისათვის ღლეში 1 მან. 50 კ. იღებ ჩემის ხარჯითურთ. ამგვარათ თვეში 45 მანეთი მოგიწევს და კიდევ მომატებს თხოულობ. კლასის დამრიგებელი ქალი ჩემს გიმნაზიაში თვიურად 40 მანეთს იღებს თავისი ხარჯით. ამრიგად ჩემთვის უფრო ხელსაყრელი იქნება შენ კლასის დამრიგებლის ადგილი მოგცე.

...და მგოსანს სურს
ჩანგი ააწკრილოს,
ზედ სიმღერა
ნაზი დააწკრილოს,***
ისე ტკბილი,
მომხიბვლელი, საამო,—
ყველას მოსცხოს
გულის წყლულზე მიაღამო...
მაგრამ ჩანგზე
თითს ჩიშოპკრავს თუ არა,

(თითქოს ყელზე
ძვალმა გადაუარა!)
გაისმება მარტოოდენ ხიხინი—
არც სიმღერა,
და არც გრძნობით ქვითინი...
ის უფრო გავს
მომაკვდავის ხრიალსა,
ან მანქანის
ყრუ რაბრახს და ტრიალს.

ხან მგოსანს სურს
ფრთა გაშალოს ფრთოსნურად,
ფიჭის მოახტეს,
გააქენოს მგოსნურად:
ცის სივრცეში,
ვარსკვლავებთან აფრინოს,
გულს სიაშე
ნეტარება აფრინოს...
... მაგრამ უპიტრობს
ძალა ურჩი, უქმები, —
ძირს ვარდება
ორივე ფეხ მონატები...

პოლიბინტა.

*) წინ და წინ ვგრძნობ, რომ ზოგიერთი მკითხველი ამ სიტყვების წაიკითხვაზე უეცრად შეჩერდება და აღშფოთებით წამოიძახებს: — ფუ, ეს რაა! გრძნობის გადატება? აბა, როგორ შეიძლება გრძნობის გადატება?! ის უბრალო ჩხირი ან კალმის ტარი ხომ არ არის— აიღო და გადაამტერიო!

მაგრამ, ბატონებო, ეს მოძველებული აზროვნებაა! ჩვენ, ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს მეოცსაუკუნეა, საუკუნე სიმბოლიზმისა და ფუტურისმისა, როცა ყველაფერია მოსალოდნელი და შესაძლებელი. და ნურავის გაუკვირდება, ჩემს ლექსში ასეთი გამოთქმების ხმაარება. ეს პროგრესია!

**) აზრი ფრთა ვაკცეითილი— ამ სიტყვების შინაარსის სწორად გაგებისათვის საჭიროთ მიმაჩნია გავაცნო მკითხველი აზრს და მისი ყოფა-ცხოვრების ისტორიას.

აზრი, ბატონებო, მეტათ ლამაზი და მომჯალღებელი სულიერი ფრინველია: მას მეტათ ფართე და პრელი ფრთები ასხია. მისი მოკაუტებელი ალმასის მსგავსი ნისკარტი თითქოს ფოლადიდანაა გამოჩაქვლი. ის ამავე დროს მეტათ მოძრავი, სწრაფი და ძლიერი. მისი ერთი ფრთის გაქნევა კლდეს ანგრევს, მისი სიმაღლე ცის გუმბათიდან მონაწყვეტ მტყორის სრბოლას აღმებტება... აზრის საყვარელი საცხოვრებელი ბინა კი ადამიანის თავია... მაგრამ მის წარმოშობის შესახებ მეცნიერები სამწუხაროთ

ჯერაც ვერ დასდგომიან ერთ აზრს ანის შესახებ მრავალი შეხლა-შემოხლა და სხვადასხვა მიმართულება არცებობს. ერთი ამბობს: „აზრი ცხელია და ის რაღაც უხილავემა ძალად წარმოშვა, შემდეგ აზრს ცაში ყოფნა მოსწყინდა, ციდან გადმოფრინდა და ადამიანის თავში დაბუღდაო. მეორე ამბობს: არა, აზრი ცაში კი არ დაბადებულა, ან ის რაღაც უხილავე ძალას კი არ წარმოუშვია, არამედ ის აქ მიწაზე დაიბადა და მისი წარმოშობი ძალა თვით ადამიანის მოთხოვნილება და საჭიროება იყოო. მესამე კიდევ ვინ იცის რას ამბობს და მეოთხე კიდევ რას. ერთი სიტყვით სრული ქაოსი მეფობს და ამ ქაოსიდან ნათელი გზის გამოჩენვა თვით მკითხველისთვის მიძინდვია. მხოლოდ ერთი კი აშკარაა, ყოველ ახალგაზდა ჯანსაღ აზრს დიდებულ ადამიანთა თავებში უყვარს ბტომა-ნავარდი და ბუდის კეთება. მთელ თავის სიხალგაზდეს და სივრცეცეს ეს უცნაური ფრინველი ამ ადამიანთა თავებში ატარებსო... მაგრამ ხომ იცით, მკითხველო, ყველაფერი მოძრავია, ყველაფერი იცვლება“. უღმობელი დრო აზრსაც ასევე თავის დაღს, ისიც ხუცდება, ბერდება, ჩაჩანაკდება, ნისკარტი უბლაგდება და ფრთები უტყვება. ამავე დროს მათი მასპინძლები— ადამიანები დიდ უმადურობას იჩენენ მათდამი. შეამჩნევენ თუ არა სიბერეს, მაშინვე პანჩურის ამოკრახვენ და თავის ფანჯრიდან ყრამალა გადმოუძახებენ ძირს, საბრალო აზრი! ამ დღიდან იწყება მისი ნამდვილი ტანჯვა! წიწილასავით აბუზული და ფრთებ ჩამოყრილი დაყიალობს ის ქვეყნად, სანამ ბოლოს ვინმე გულ მოწყალებ პატარა ადამიანი არ გადაეკრება, არ შეიბრალებს და ბინას არ მისცემს თავის მყუდრო და ცარიელ თავში. ამიერიდან ცხოვრობს აზრი ამ ადამიანის თავში და იქ ატარებს თავის უკანასკნელ სიკოცხლის დღეებს სანამ სიკვდილი არ მოუწერებს და თქვენს ქირს არ წაიღებს. ახლა მე გეგონია თქვენთვის საკმაოთ გასაგებია თუ რას ნიშნავს „აზრი ფრთა ვაკცეითილი“.

***) დერგუცა— ქვეყრის მომცრო, მუცელ წამობერილი თინის ტურქული. გურიში ვინსაკუთრებით ყველს იხიხავენ შიგ.

****) გამოჩენილი ესტრეტოს-კრიტიკოსების წყალობით ჯერ-ჯერობით ოთხი ჯიშის მუხაა აღმოჩენილი. ჯიშის პირველი— დაფრენს ცაში, პირზე მუღამ ღმილი უკრთის, უყვარს მზის სხივებში ბა-

ნაობა და მთავრის მკრთალ შუქზე ოცნება. ჯიში მეორე—სცხოვრობს ზღვაში, მეტათ მელანხოლიკია, უყვარს მზის ჩასვლისას ზღვის პირზე ამოსვლა და ქვითინის მზგავსი სიმღერა. ჯიში მესამე—მიწაზე დახოხავს, ტლაპაში ბანაობს, ხან იციანის და ხან ტირის. ჯიში მეოთხე—არც ცაში ფრენა შეუძლია, არც ზღვაში სურვა და არც მიწაზე ხოხვა. სხვა ამ უკანასკნელის შესახებ არაფერი იციან ჯერჯერობით. როგორც მკითხველი შეამჩნევს ზემოხსენებული მუზა ამ მეოთხე კატეგორიის უნდა ეკუთვნოდეს. ყოველ შემთხვევაში, ვისაც სურს ამის შესახებ დაწვრილებით ცნობები, იხილოს ჩემი მომავალი კაპიტალური ნაშრომის მეხუთე ტომი: „მუზათა გონიერული მოვლა-მოშენება“. გამოც. 1920 წ. ქ. თფილისში.

3—ტა.

ფოთი და შფოთი

(„ფრანგულათ“ წაკითხული ნ. ჩხიკვაძის სალიტერატურო დილაზე ფოთში)

შფოთი, შუღლი, ბრძოლა, დაეა, ფოთმა რომ ვერ მოათავა, არსებობს ეძებს პურსა... მშიერ კუჭის საშხახურსა აბა ვინ არ დაულალავს? თუ მეპურე პურს კი მალავს და პატრონსა სანოვაეგე—კრიჭე კბილი, კნიტე ბაგე.

შებვალ ფქვილის საწყობებში, (ამ ხელოვნურ პურის მთებში), და შიმშილით გეწეის კუჭი, ყველა შრომა არის ფუჭი, ცალი ფქვილის შესაძენათ ღირსი თუ ხარ, ან რამდენათ, (ეს იმაზე შეგეტყობა მაქანკალი ვინ მიგყობა, თუა საქმის მკოდნე პირი, დაიძლევა ვასაჭირი), გიჩვენებენ პურის მეფეს, ამ ფარკუმს, თუ ხაიმ-სეფეს,

გამოკითხვენ, ვისთვის გინდა, ჩარჩ-ბაცაცა თუ ხარ, წმინდა... თუ არ მისცემ ხალხს... თუ შეგხედეს მსხვილს და მსუქანს და არც ითხოვ ნაყილობას, გიცხადებენ მაშინ ნდობას!..

იქნებ ხალხმა მოგავაზუნა, (და ეს ვინმემ გაგამელანა), ნულარ ფიქრობ პურის შოვნას, არცინ იღებს არც შენს თხოვნას, მაშინ „პური სხვაგან მიღის, მას მთავრობა აღარ ჰყიდის“.

ფოთი არჩენს მთელ ჩვენს მხარეს, ჩვენზე მშიერს და მწუხარეს სხვაგან კიდე ვეღარ ნახავო, მუდამ ვებრძვით, ვედავებით ზოგი ძალით, ზოგი ნებით, მარა საქმე საქმეთ მიღის, ფქვილს პატრონი კი არ ჰყიდის, ჰყიდის მეცხრე პარაზიტი და პატრონი, როგორც გვრიტი უცოდველი, უშიშარი, დაულია სახლის კარი თვით უკეთეს სასტუმროში, ხალხს თუ ქონდა ორი გროში, მის უძიროს ავსებს ჯიბეს, ცაზე ადგამს ოქროს კიბეს, (უფლის ნახვა თუ კი სურდეს, არქვას, ხალხი რათ გაქურდეს).

ჩვენ კი ისევ მივშველოთ ხალხის ღუქანს, ხალხის ფურენს, სამკვდროთ უნდა შევებრძოლოთ მის ორგულს და ავ-მოსურნეს. იქნებ ამათ მოგვაშველოს შაქარი და პურის ყუა,— ვაუმარჯოს ხალხის ღუქანს, სხვა ვაქრები ყველა სტყუა!

ბუტუნა.

გუჩული სენა

ბინდა მგელს ღმუზამივიპა და ბინდა მგლისფეა
კაღლს.



დღეწყო ვინი
თუ არა და მას მერე მე და ნესტორე სულ ცეცხლ
და თაკორაში ვართ; გამოგვიცხადის თუ არა, — უნ-
და წახვიდეთო, მაშინათე წვევდით, მივატიეთ, ცო-
ლი, ბაღნები, ყანა, ოჯახი და ყოლიფერი, ისე კ
არ გვიქნია, ვინცხა ვინცხები რომ იკუნჩხება-იმა-
ლება ღობის ძირში. ღმერთმა სასწაულ ქნა, რაც
ტყვია და ყუმბრები გამეისროლა ასრიელებმა და
გერმანელებმა, ყველა თავზე გადაგვაფრინდა, ყვე-
ლას გუუძელით; ბოლოს მოგვეცეს ცოტა ოტპუსკი
და შინ ჩამევედი; დავრჩით ცოტა ხანს და მერე
გამოვეცხადდით გაგვინჯეს და ქე მიგ-
ვიღეს. გვკითხეს: საით გირჩონიათ წასელა, რო-
მელ ფრონტზეო. ვუთხარი ნესტორს: „ბიჭო, მო-
დი, შეეხვეწოთ, აქანაი, დაგვტოვონ ცოტა ხანს,
აქანაი, — ჩვენი
მეზობელი — როტნის კომანდერათ, იგი კარგათ მო-
გვეპრობა,
კარგიო გოუხარდა ნესტორს, მაი კაი გიფიქრიაო,
ღმევირიტეთ, შეეხვეწეთ ვინისკი ნაჩლიქს, დაგ-
ვტოვეთ აქანაი, პაწა ხანს თქვა... ააშენა ღმერთმა,
ქე დაგვტოვა პოლკში. ცაზე მიგვისტვა
ხელი სიხარულით... მივედით, ვიფიქრეთ, ჩვენი კა-
ცია, გუუხარდებდა ჩვენი მისელა მეთქი. გუუკეთეთ
ჩესტი და მერე ხელის ჩამორთმოვა მვეინდომეთ...
„სმიიირნა!.. ნე სმეიტო“ გვითხრა. მინაეთ ვაში
ბლაღაროდია თქვა უთხარით და გამოვბრუნდით
უკან. ნესტორმა მითხრა, ბიჭო, რაედენა, მაგი იმი-
ტომ არ ჩამოგვართვა ხელი, რომ კანონის ზაკონით
იქნება ალბათო... სხვაფერ მოგვექცეს კარგათ და
მაგი აფერია მეთქინ ვუთხარი... ვიკითხეთ პოლ-
კში, რანაირია აი ჩვენი უფროსი თქვა. ნულარ
გვკითხავ, მაგი ტრუ-
ბაში ამერენს ყველასო, ყოლიფერი კაი აგიხთათ,



ჩვენ ავგისრულდა ჩვენი ამხანაგების სიტყვა. ყველა უბრალო რამეზე ნაკაზნაის გვაძლევდა, სულ „პოდ რუიომ“ ვართ; დღე და ღამე ქე ვართ ჭკუასეისის მოზვერსავით დაყუდებული, ჩამოვწყდით ფეხებზე; რას იზამ, კი ვეფერ საყველურს ეტყუვით ამიზა, ვინა ნია, ჩვენ საღდათები ვართ, დისციპლინა არის, მარა მე იმაზე მტკივა გული, რომ ჩვენი კაცი არის, მეზობელი, თვარა ისე რას ეჩივი. ვამიძალდა სიცოცხლე, ყველგან ტყავი გაგვძვრა, რალაი აქანე შევიკლა თავი, ქე მიინე წვალთ პოზიციაზე, იქინე ისე არ მოვკტები, რომ ერთი ვინცხა არ მოვკლა, აქანე ტყულათაი ვიხრჩევი კაცი... ხვალ თუ, ზეგ შევყაღებთ პოზიციაზე, რაც იქნება იქნება.

— მართლა ამბობ ბიჭო მის მაგას?
 — მართლა, როგორც კაცი!
 — მერე თუ კაცი ხარ რავე უნდა უწამლო?
 — აი რავე: ვიღე საბურველი მაშინა, ჩაყარე შით ნაცარი, დაუბერე ტუნებზე და მორჩა! აღარც შაბიბანი უნდა და აღარც თფთრი ახანი!
 — მეც დავიჯეტრე და შევიყარე... დაღვა შე- მოღვონა გევიარე ჩემ ნამყენ ვენახში, მივაქტერი ყურბენს... დეენახე მარა რა დეენახე! რაც მე ნაცარი მივაყარე, სულ ზედ აქ მიგლესილი წვიმი- საგან ისე რომ ერთი კვირა ხეხო ერთ ფინჩას ვერ მოათეტყ!

ზიფლიფონქეს ბიჭი.

ნიგაჩული სხანა

ნაცრით წამლობა

ისე ღმერთი უშველის ჩვენი ყაფლამას ოჯახს, რავარც იმან სამუდამოთ გამოუთხარა ძირი ჩემსას ღვინის მოსავალს. წროულს გევიხედე კაცო და... მიძახის ჩვენი ყაფლამა:

- ბიჭო მოდი აქ, მოდი აქო: მეც მივედი. შითხრა:
- ბიჭო შენ წროულს შაბიბანი ხომ არ გაქ?
- არა თქვა, ვუთხარო.
- აბა იცი რა გითხრა? — ეჭ რალა რა გითხრა შეუუნებლობაც. ამას ჰქვია! წამალი ჩვენ ხელ- ში კეთდება და ჩვენ დავვილია პირი და სხვას მივ- ჩერებვიართ;
- რა არის, კაცო, მაგისტანა?
- შე კაცო, არ იცი ახლა შენ?
- არ ვიცი, როგორც კაცი!
- ჰმ, აფერი წამალი არ ჯობნებულა თურმე ნაცარს!
- რავარ ნაცარს, კაცო?
- რავარ ნაცარს, და ცეცხლის ნაცარს!

დამწიფდა ყურბენი, და მოვკრიფე კიდევ მა რა გამოვიდა: ღვინის მაგურათ გამოვწურე რაცხა, არც ღვინო, არც ტალახი! რა უნდა მექნა... მო- ვესენი ჩემ ოთხსაფიან ქვევრს თავი და მულში იმიან ამიანა შით, იქნება დელიტქოს თქვა. გაუქ- თე სასულე მივაყარე აყალო მიწა და გაუწვი.

გევიდა ერთი კვირა, მოვხადე ჩემი ოთხსაფი- ანი და ეტუცე შით ორშიმო, ამევილე, ვნახე... ფერი ისევე ისე ქონდა, ახლა ვნახე გემოთ მარა რავნახე! ნამდვილი ნაცარ ტუტა!

ვამიფუქდა მოსავალი. კი ვამიგონია: „ნაცარ ტუტა გავჩინდა ოჯახშიო“ მარა ასე თუ ჩთებოდა ავი აღარ მეგონა.

ქვაშაველი

წარილი ნაოლალიდან

ბატონ ეშმაკსა სალაში!
 (სალამიც ერთი ვილია).
 მოავდივართ თხოვნიო: ჩვენსკენაც მოეპყროს თქვენი თვალია!
 არავინ იღებს ჩვენზედ ხმას,
 ამიტომ გეტკივა გულია,—
 სახელ გვაყავს ნაოლალიევი
 მრავალჯერ წამებულაია.
 სიდან დავიწყო არ ვიცი,
 რას ვარგო პირველ რიგია...
 თან გემართებს ცოტა სიფრთხილეც
 არ გვესმას „ბრიგი-ბრიგია“.

დავიწყეთ თუნდაც ხალხითა,
რომელიც დაცემულია;
სდუმს სიმწრით, იცნეტს ტუჩებსა,
ძლივს უცემს მაჯა-გულითა.
აიძვრა სიღრმე ცხოვრების,
შეინძრა ძალთა ძალითა,
და ნაძირალოთაც დრო ნახეს,
მათ გაუბრწყინდათ თვალითა.
ცალ-ცალკე თითო აღენუსხო
ვერ აუვიდე წერითა?
მოწმად ხომ ისიც მეყუთა,
რომ ცა სტირს მიწის მზერითა.

—
თვით დაბა ნაოლაღვი?
თქვენს მტერს ისეთი ენახოს
და კაცი-პირველ მიზეზი
მაგისი, ღმერთმა დალაზგროს!
ზურგ ანაწივავსა პოვროშით
დღესაც კი ბოლი აუღის;
მშობელი ტდილობს აღდგენას,
მაგრამ ვედარ-რა გაუღის.
აქა-იქ თუ კი რამ არის,
ფასი მთლად ზეცად აუღის.
„უჩატკის“ ხელი ძირსა სწევს
და ხშირად ჯიბეთ ჩაუღის.
კარგი ხანია არსებობს
აქ დუქან კოპერაცია,
მაგრამ სახელის მაგვარი
მას არაფერი აცხია.
სამაგიეროთ რა გინდა,
რომ არ ხდებოდეს ბეზარში:
კარტოქნიკობა და ჩხუბი, —
ქეიფი წუმბე-ნაგავში.
ხომ ფოსტაც დაბას ეკუთვნის,
მისი უფროსი ერთია,
შამოსულ ხალხთან მოკებლო
და უმკროსებთან ღმერთი.
დაბას ეკუთვნის „ბალნიცა“,
მასაც შავი დღე სწევვია:
ძველი „დობტური“ წასულა,
ახალი აღარ წევვია.
თუმც არის კიდევ ახალი,
მაგრამ ის განზე გააღდარა
და „სოფლის ფერშალით“ ხელშია

„ბალნიცა“ იგი წამბდაჩვენი
მინდ გიორგია უფროსი
„ეკიპიდ“ ის ნაქებია,
და ვინ რა იცის: მისს ცოდნას
ხავსი თუ მოჰკიდებია.
მაგვე არს მანდილოსანი,
თავზე წაუკრავს „მანტია“;
და ჩასუქებულ ბეჭებზე
„თუმნების“ კვალი ატყვია.
ქართული „სრულად არ იცის“,
„ქაჯო“-ს და იტყვის მხოლოდა;
თუმცა გვაირი აქვს ქართული,
რუსი ქმარი თუ ჰყოლოდა.
(მაგრამ ქართულის არ ცოდნა
ეს ხომ საერთო სენია, —
მოსწავლე-მასწავლებელთვან
მხოლოდ რუსული გვსმენია).
საქმიანობა დღეს გემართებს:
დღეს გვაღვას ვასაქირია;
მაგრამ ვერ ვხედავთ მოსაქმეს, —
ეგ არის ასატირია!
კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი
სამომავლისო დღისაო,
ნაქნარი ზნელი დამისა
და ხვედრი ნათელ დღისაო.
მაგრამ სხვა იყო მერმისთვის
და ან აღვილი როლია:
მთლათ ამით დასურხატებს
ვერც კი აუვა გოგია.

ბ-ი.

ო ბ ე ბ შ ე ბ ი

(ბუტუნას სააგენტო)

ფოთი გურიაში სასულიერო საქმეების საძი-
ებლათ წასული ბ-ნი მხიფავი იტყობინება — „ძველ
მამასახლისთა ბიუროს“ შემთხვევით აღმოჩენაზე.
ხსენებულ ბიუროს“ მიზნათ აქვს თურმე ახალი
არჩევნები ჩამალოს და ოცისთავებს საშუალება
წაართვას ახალი მამასახლისებებს არჩევნისა. პირვე-
ლათ უნდა დაიხსნას „ბიუროს“ ღანჩხუთისა და

ძიმიტის საზოგადოებანი ამ ოკის-თავთა „პუნტოვ-ჩიკობიდან“.

ფოთის ქალაქის თვითმართველობამ კერძო „სოფეშაინეზე“ დაადგინა ბნი ტყეშალაძის ხელახალი არჩევა, მარა ოფიციალურ ხმოსანთა კრებაზე მოულოდნელათ გადაიდგა არჩენენი. ბოროტი ენები ამბობენ ეს გადადება ტყეშალაძის ვაშეებს ნიშნავსო, ხოლო ამ გეშებს აძლიერებს ტყეშალაძისაგან ამ მოვლენის შემდეგ „ოტსტავკის“*) შეტანა თვითმართველობაში. მოსალოდნელია ბევრი ახალი რამ, მარა ყოველ შემთხვევაში კარგი არაფერი.

ქ-ნი „როკაპი“ იტყობინება მრავალი მისალოცი დეშეშების მიღებას „ფოთელ ქალთა საზოგადოების“ დაარსების გამო, მარა საპასუხო მადლობის გამოცხადება „როკაპს“ გადაუდგია სანამ პირადათ დაათვალიერებდეს დანიშნულ „ქალთა საზოგადოების“ საქმეებს, რაც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს.

„თვალმაქი“ იტყობინება: ხეტყის ქარხნის მუშები ერთ იერიშს კიდევ მიიტანენ ნახერხის ფორტებში გამაგრებულ ხაზინებზე.

სტრატეგი ფონ-გუბელი, წინ-დო-დაწინვე აღნიშნავს ხაზინების უკან დახვეის აუცილებლობას...

შპიიტხვა ეშავს

ბალახანა. მოგხსენება თუ არა ბ. ეშავს, რომ ჩვენ აქაური ქართველები, არც კი ვოცნებობთ სახალხო სახლზე; არ მოგვეძევეთა არც საბავშო ბალი, არც სკოლა; თითქმის არც კი ვიცით რას ჰქვიან წარმოდგენა. რომ ჩვენ არ ვიცით რიტხვი ჩვენი მატულობს თუ კლებულობს და რომ ჩვენ არც კი გვსურს...

ჰო, შემდეგშიაც ასე ყოფნა. მაგრამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ 99⁷/₈% ყურს მიინც

*) ოტსტავკა—ჩვენი თანაგრძობის დარჩენას უნდა ნი აწავდეს.

არ ვიბერტყავთ. და თუ ყველა ეს მოუხსენება, რა ზომის მიღებას აპირობს როსტაქსნი შეგარტმელდეს და როდის? და ვართ თუ არა ჩვენ უკვე კულტურულ ხალხთა სიაში მოკალათებული, თუ ჩვენთვისაც საქირთა ვეზამენი ისე, როგორც ერთი ბიუროკრატის სიტყვით, ერთს ქალაქში მცხოვრებს სართებს ესაქირთება თურმე?*)

ლია.

გამოცანა

(ხუფხისათვის)

თქვენც გინახავთ: ტან-დაბალი, წელ-წერწეტი, ბეჭებს—ფარე, უღვაშ-წაქვიტინებული, ენატბილათ მოკამათე.

მისი საოცნებო გახლავთ დრო წასული, ძველის-ძველი, განახლების ორგულია და ქურდების მედვარ-მცველი.

სამართალი თუ დასქირდა, ხმალ-ხანჯლისკენ მიაქვს ხელი, და ბაზრისა მყრალი ქუჩა მისი არის ბრძოლის ველი.

ამ ოცნებით დროს ატარებს სიტყვით ჩქარი, საქმით ნელი გაკეთებას სხვისგან ელის ახალ მოდის „ლამანჩელი“.

გამოცანა.

*) პასუხი გადაეცა კომისიას.

გაზეთი
1916-1917

შიილება ხელისმოწერა 1916 წლისათვის
ყოველ-კვირეული იუპორისტული გამოცემა

უშპაკის მათრახს

უშრანლის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშპაკი,
ხოლო გამოცემის სამხმს კანტორა „განათლება“

ეურნალის ფასი: 12 თვით 6 შ. —
6 თვით 3 შ. 50 კ.
3 თვით 1 შ. 80 კ.
1 თვით — 60 კ.

ეშპაკის მათრახში დაბეჭდება მხოლოდ უშპორის-
ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები,
ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები,
ნაკვესები და სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ აღრესით:



Тифлиси *)
С. Р. Таварткиладзе,
Ольгинская 6,
Почтовый ящик № 96
(ეშპაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონცერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმადიწყებს მოგვარებთ, რომ უშპაკი წერილებს რედაქცია არ დახსნის.